

კორონავირუსის გავლენა მსოფლიო და ქართულ ტურიზმზე



ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის სექტორმა მიიღო, ყველა იმ სფეროს ჩათვლით, რომელიც ერთიანობაში ამ ინდუსტრიას ქმნის. ტურიზმი ეკონომიკური აქტიურობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა და მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-იანი წილი უჭირავს. იგი ითვლება მოწვევლად ეკონომიკურ აქტიურობად, რადგან შედარებით უფრო მგრძობიარეა გარე შოკების მიმართ. ტურიზმი არის მოსახლეობის დასაქმების, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების, რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის, ქვეყანაში მრავალფეროვანი წარმოებისა თუ მომსახურების შექმნის ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი წყარო. აქედან გამომდინარე, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები პირდაპირ აისახა ქვეყნების შემოსავლებზე, რამაც საბოლოო ჯამში, პირდაპირ თუ ირიბად დიდ დანაკარგებთან მიგვიყვანა. შეგვიძლია განვიხილოთ ძირითადი გავლენები და მოსალოდნელი შედეგები ტურიზმის სექტორში.

გავლენა მსოფლიო ტურიზმზე

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) განცხადებით ისტორიას არ ახსოვს მსგავსი სახის მასშტაბური კრიზისი გლობალური ტურიზმის ინდუსტრიაში. მათი განცხადებით:

- 2020 წელს მსოფლიო ტურიზმის ზრდა 3-4%-ით იგეგმებოდა, თუმცა COVID-19 ტიპის ვირუსის გავრცელებამ მანამდე არსებული სურათი რადიკალურად შეცვალა;
- ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით მილიარდ ნახევარი ტურისტის მიმოსვლა ხდება;

● ტურისტებს შორის გამოირჩევიან ჩინელები, რომლებიც ყველაზე მეტს მოგზაურობენ, და ყველაზე მხარჯველ ტურისტებად ითვლებიან. საერთაშორისო ტურისტული დანახარჯების 20% სწორედ ჩინელ ვიზიტორებზე მოდის;

● ექსპერტები ვარაუდობენ, რომ არსებული სცენარის გაგრძელების შემთხვევაში 2020 წელს ტურიზმის მთლიანი შემოსავლების 25-30%-იანი დანაკარგია მოსალოდნელი, რაც რისკებში გამოსახული დაახლოებით 30-50 მილიარდი დოლარია.

გაკლენა ავიაციის საქმორზე



● ეპიდემიის შემდეგ პირველი დარტყმა ავიაციის სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ეს ეხება როგორც ავიაკომპანიებს, ასევე თვითმფრინავების მწარმოებლებს. მიზეზი რაღაც თქმა უნდა შეჩერებული ფრენები გახდა.

● საავიაციო კომპანიების უმეტესობამ ფრენები თითქმის შეაჩერა. მათ შორის არიან Wizz air, Ryanair, Lufthansa, Airbaltic, და სხვა. შეჩერებული ფრენები რა თქმა უნდა აისახა მათი ფასიანი ქაღალდების ღირებულებაზე. მაგალითად, ავიაკომპანია Ryanair-ისა და Lufthansa-ს აქციების ფასი ბოლო ერთი თვის განმავლობაში 56%-ით შემცირდა;

● საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო ორგანიზაციის მიხედვით, ავიაციის სექტორში მოსალოდნელი ზარალი 63-დან 113 მილიარდ დოლარამდეა მოსალოდნელი. გაჩნია ვითარება რამდენად მალე დასტაბილურდება;

● დანაკარგი განიცადეს არა მხოლოდ ავიაკომპანიებმა, არამედ თვითმფრინავის მწარმოებლებმაც. კომპანია Boeing-ის აქციების ფასი ბოლო ერთი თვის განმავლობაში 30%-ით, ხოლო Airbus-ის 40%-ით შემცირდა;

● შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა მხოლოდ კონკრეტული ავიაკომპანიები, არამედ მთლიანად საავიაციო სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.

გაკლენა სამუშაო ადგილებზე

ეპიდემიის გავრცელებამ მძიმე ხელშესახები შედეგები მოუტანა დასაქმების სფეროს.

■ მსოფლიოში, ყოველი მე-10 ადამიანი ტურიზმის სექტორშია დასაქმებული, რომელთაც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მოუწიათ სამსახურებიდან წამოსვლა, ან დროებით უმუშევრად დარჩენა;

■ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემების მიხედვით ვირუსის გავრცელებამ მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში არსებული სამუშაო ადგილები შესაძლოა 50 მილიონით შეამციროს;

■ მათი განცხადებით ვირუსის დამარცხებისა და ვითარების ჩვეულ რეჟიმში ჩადგომის შემდეგ, ინდუსტრიას დაახლოებით 10 თვე მაინც დასჭირდება გაჯანსაღებისათვის;

■ ადამიანებს მოუწევთ საკმაოდ მძიმე მენტალური ბარიერების გადალახვა, რომ კვლავ იმოგზაურონ იმ ქვეყნებში, რომლებშიც სულ ცოტა ხნის წინ ეპიდემიის გამო მძლავრობდა.

გაკლენა ტურიზმში ჩართულ მხარეებზე

■ არსებულმა მძიმე მოცემულობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მცირე და საშუალო სანარმოებზე, რომლებიც ტურიზმის სექტორის 80%-ზე მეტს შეადგენენ;

■ ეს შეეხო მილიონობით ადამიანს მსოფლიოში, მათ შორის მონაცემებს, რომლებიც დამოკიდებულები არიან უცხოელ ვიზიტორებზე, და საკუთარ რეგიონში ქმნიან განვითარებად და ინკლუზიურ ეკონომიკას;

■ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს ტურ ოპერატორებმა, სასტუმროებმა, რესტორნებმა და კაფე-ბარებმა, სატრანსპორტო და საექსკურსიო კომპანიებმა, ასევე სხვადასხვა სახის მომსახურების ცენტრებმა და სავაჭრო ობიექტებმა;

■ სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით არატურისტულმა ობიექტებმაც საკმაოდ მძიმე დარტყმა მიიღეს, როგორცაა: საცურაო აუზები, სილამაზის სალონები, სპორტული დარბაზები და სხვა.

გაკლენა ქართულ ტურიზმზე

საქართველოს ეკონომიკა ტურიზმის შემოსავლებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აღნიშნული სექტორია რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო.



2019 წელს ტურიზმის შემოსავლების ფარდობამ მშპ-სთან 21% შეადგინა, რაც სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია.

მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულის პერიოდი ნაკლები ტურისტული ნაკადებითაა დატვირთული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ სექტორში დანაკარგები იქნება მნიშვნელოვანი დარტყმა ქართული ეკონომიკისათვის, უფრო რეგიონულ დონეზე, რომლის აღდგენასაც საკმაოდ დრო და რესურსი დასჭირდება;

დამაიმედებელი ფაქტორია საქართველოში, იანვარ-თებერვალში ტურიზმის ზრდა, რომელიც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19%-ით არის გაზრდილი. იმის გათვალისწინებით, რომ თებერვლის მეორე ნახევარი ვირუსის გავრცელების შედეგად ნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა;

საქართველოში მიმდინარე წლის მარტი-აპრილში სასტუმროებზე მოთხოვნა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაახლოებით 60%-ით არის შემცირებული, რაც ამ უკანასკნელებს საკმაოდ მძიმე ვითარებაში აყენებს, იმ ვალდებულებების გათვალისწინებით, რაც სასტუმროებს მართებთ საკუთარი თანამშრომლებისა თუ კრედიტორების წინაშე;

● როთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ საკვები ობიექტებიც. მდგომარეობის გართულებამდე, პროცესს შედარებით ასტაბილურება რეზიდენტების მხრიდან მოხმარება, თუმცა ბოლო პერიოდში მომატებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული ფონი დამძიმდა და უმეტესი მათგანი დროებით დაიკეტა.

გამონვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული რიგი გადაწყვეტილებები შეიძლება შეფასდეს, როგორც არსებული დაძაბული ფონის დეესკალაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

გადაწყვეტილების მიხედვით, ტურიზმის სექტორის ობიექტებს (სასტუმროები, რესტორნები, კაფე-ბარები, სატრანსპორტო და საექსკურსიო კომპანიები და სხვა) ქონებისა და საშემოსავლო გადასახადები 4 თვით გადაუვადდათ. ეს შეეხება 18 000-მდე კომპანიასა და 50 000-ზე მეტ დასაქმებულ პირს. აღნიშნული გადაწყვეტილება საშუალებას იძლევა ამ სექტორში 4 თვის განმავლობაში დარჩეს 100 მილიონზე მეტი ფინანსური რესურსი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს საბანკო სექტორის მხრიდან მხარდაჭერა, რომელმაც ფიზიკურ პირებს სესხების შენატანზე სამთვიანი საშელავათო პერიოდი შესთავაზა, ასევე ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დანერგეს დისტანციური მომსახურების სერვისი.

საერთო ჯამში, ეს გადაწყვეტილებები ქმნიან ერთიან ჯაჭვს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ფიზიკური პირებისათვის, ასევე ბიზნესისათვის. ახალი ტიპის კორონავირუსის გავრცელებამ გლობალური დღის წესრიგი საგრძნობლად შეცვალა. იმედი ვიქონიოთ, რომ ვირუსის დამარცხების შემდეგ, მსოფლიო სწრაფად მოახერხებს ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას. სწორედ ამიტომ, ვითარების განმუხტვის შემდეგ, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია იმ ქვეყნებს, რომლებმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღეს სთავაზობს ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას იმ ღონისძიებებისათვის, რაც სტაბილურობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ამასთან ერთად, დაეხმარება საერთაშორისო განვითარებისა და ღონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და კოორდინაციაში, ასევე ეკონომიკის აღდგენის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. ერთობლივი ძალისხმევით კი აუცილებლად მოხდება არსებული ფონის დასტაბილურება და მსოფლიო ეკონომიკის საკუთარ რელსებზე დაბრუნება.

